# ევროპული სკოლის ბიბლიოთეკა

## ბიბლიოთეკით სარგებლობის სახელმძღვანელო



ევროპული სკოლის ბიბლიოთეკა ემსახურება სკოლის საზოგადოებას. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ უწყვეტ სწავლას. ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა სკოლებსა თუ სასწავლო დაწესებულებებში, რომელიც მოსწავლეს ეხმარება მრავალფეროვანი რესურსის გამოყენების, კვლევების წარმოებასა უნარის განვითარებაში და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებში. ბიბლიოთეკა დიდ სამსახურს უწევს მოსწავლეებსა და პედაგოგებს საჭირო ელექტრონული და ბეჭდური რესურსებით უზრუნველყოფის მხრივ.
ბიბლიოთეკის გამოყენებით მოსწავლეებს შეუძლიათ ჩაერთონ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ სამუშაოებში, შეასრულონ საშინაო დავალება, ან გაეცნონ სასარგებლო ლიტერატურას.

ბიბლიოთეკის სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი 9:00-17:00



დაასკანირეთ კოდი რომ ეწვიოთ ჩვენს ვებ გვერდს

ჩვენი კოლექცია მოიცავს 14,000-მდე:

- მხატვრულ ლიტერატურას;
- არამხატვრულ ლიტერატურას;
- ელექტრონულ წიგნს;
- დასურათებულ წიგნს;
- ლიტერატურას დამწყებთათვის;
- წიგნებს სხვადასხვა ენაზე (ინგლისურისა და ქართულის გარდა);
- ელექტრონულ რესურსებს;
- ჟურნალებს;
- გაზეთებს;

ბიბლიოთეკა მდებარეობს მეექვსე სართულზე.

# ჩვენი წესები

### წიგნების/მასალების დაგვიანებით დაბრუნება

ბიბლიოთეკიდან ახალი მასალის გატანამდე აუცილებელია, წარსულში ნათხოვი ლიტერატურის დროული დაბრუნება.

- ბიბლიოთეკაში საკვებისა და სასმელის გამოყენება აკრძალულია;
- დაუშვებელია ქოლგის, ამანათის ან სხვა ნივთის შემოტანა, ფაილებისა და წიგნების გარდა;
- ბიბლიოთეკის მკითხველმა უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე, სიწყნარე და ხელი არ შეუშალოს სხვა მკითხველებსა და პერსონალს.

### წიგნების/მასალების განახლება

წიგნების ხელმეორედ გატანა 2-ჯერაა შესაძლებელი, თუ არსებულ მომენტში მასზე არ არის სხვების მხრიდან მოთხოვნა.

### წიგნებით სარგებლობა

წიგნებისა და ბიბლიოთეკის რესურსების გატანა დაუშვებელია მათ აღრიცხვამდე. ბიბლიოთეკის რესურსების გატანა რეგისტრაციის გარეშე სერიოზული დარღვევაა. ბიბლიოთეკიდან ნათხოვარი მასალა უნდა დაბრუნდეს განსაზღვრული დროის ან ვადის გასვლამდე. ჩვეულებრივ, წიგნებით სარგებლობა ორი კვირის მანძილზეა შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, სხვადასხვა ტიპისა და რესურსის ან მომხმარებლისთვის ინდივიდუალური ვადების განსაზღვრა. დაუშვებელია ბიბლიოთეკიდან ლექსიკონის, ცნობარის, სახელმძღვანელოების გატანა.

### წიგნების/მასალების დაკარგვა

თუ მკითხველი დაკარგავს გატანილ წიგნს, ის ვალდებულია, დააბრუნოს იგივე წიგნი (თუ შესაძლებელია მისი შეძენა) ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძინოს იმავე ღირებულების წიგნი (იმავე სფეროდან) ან გადაიხადოს დაკარგული წიგნის საფასური.





## მეცადინეობის საათი

მეცადინეობის საათი გჭირდებათ, რათა:

- ორგანიზება გაუწიოთ სწავლის პროცესს;
- გადახედოთ იმ მასალას, რომელსაც გაკვეთილზე გაეცანით;
- წაიკითხოთ და მოინიშნოთ თქვენთვის საინტერესო საკითხები და მოამზადოთ საშინაო დავალება;
- მოიძიოთ ინფორმაცია იმ საგნებზე, რომელსაც გადიხართ; შესაძლოა, მოსწავლეები იკვლევდნენ ამა თუ იმ საკითხს სადიპლომო ნაშრომის, ცოდნის თეორიის ესეს ან სხვა საგნობრივი პროექტებისთვის.



## მეცადინეობის საათებში არ შეიძლება:

- ჭორაობა;
- კომპიუტერების გამოყენება არააკადემიური მიზნებისთვის, როგორიცაა ფეისბუქი, თამაშები, გართობა, ა.შ.
- დასაძინებლად;
- სკოლაში სასეირნოდ.

